წესები და პირობები, გაუქმების და თანხის დაბრუნების პოლიტიკა

1. შესავალი

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოს ურولოგთა ასოციაციის ყოველწლიური კონგრესის ონლაინ რეგისტრაციის გვერდზე. წინამდებარე დოკუმენტი არის ორმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება მომხმარებელსა და შპს უნივერსალურ კონსულტინგს შორის. შპს უნივერსალური კონსულტინგი (ს.ნ. 404999258) რეგისტრირებული მისამართი – ი. აბაშიძის ქუჩა N 40. ბინა 26. თბილისი, 0179. საქართველო.

აღნიშნული მომსახურების წესები და პირობები არეგულირებს თქვენს მიერ ჩვენი ვებგვერდის გამოყენებას, რომელიც განთავსებულია მისამართზე – https://regpay.com.ge/, რომელსაც ოპერირებს შპს უნივერსალური კონსულტინგი.

ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკა, განსაზღვრავს ჩვენი სერვისის გამოყენებას და განმარტავს, თუ როგორ ვაგროვებთ, ვიცავთ და გავცემთ ინფორმაციას, რომელსაც ვიღებთ თქვენს მიერ ჩვენი ვებგვერდების გამოყენების შედეგად.

ჩვენსა და თქვენს შორის შეთანხმება (კონტრაქტი) მოიცავს აღნიშნულ წესებს და პირობებს და ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკას (”შეთანხმებები”). თქვენ აცნობიერებთ, რომ წაიკითხეთ და გესმით შეთანხმებები და ეთანხმებით მათ.

თუ არ ეთანხმებით შეთანხმებებს (ან ვერ შეასრულებთ), შეგიძლიათ არ ისარგებლოთ ჩვენი მომსახურებით, მაგრამ გთხოვთ, შეგვატყობინოთ ელ. ფოსტაზე contact@tucgroup.ge იმისათვის, რომ ჩვენ შევძლოთ არსებული სიტუაციიდან გამოსავლის მოძიება. ეს პირობები ვრცელდება ყველა ვიზიტორზე, მომხმარებელზე და სხვა სერვისებზე წვდომის მსურველზე.

2. კომუნიკაცია

ჩვენი სერვისის გამოყენებით, თქვენ თანხმობას აცხადებთ რეგისტრაცია გაიაროთ ონლაინ ფორმატში და მოახდინოთ ანგარიშსწორება (გადახდა) თქვენი საკრედიტო ან/და სადებეტო ბარათით შერჩეული პაკეტის ფარგლებში.

ამასთან, თქვენ შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნებისმიერი კითხვით ელ. ფოსტაზე contact@tucgroup.ge

3. მომხმარებლის მიერ შეკვეთის გაფორმება და პაკეტის შეძენა

მომხმარებლის მიერ კონრესის რეგისტრაციის პაკეტის შერჩევის და ვირტუალურ კალათაში მოთავსებამდე საჭირო იქნება შემდეგი ინფორმაციის მითითება: ელექტრონული ფოსტა, სახელი, მობილურის ნომერი და მისამართი.

მომხმარებელი შერჩეული რეგისტრაციის პაკეტის საფასურის გადახდის მიზნით გადამისამართდება ანგარიშსწორების გვერდზე. ანგარიშსწორების განხორციელებამდე მომხმარებელი ვალდებულია გადაამოწმოს მის მიერ მითითებული მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია.

მომხმარებლის მიერ პროდუქტის საფასურის გადახდის შემდგომ შეძენილ პაკეტზე საკუთრების უფლება სრულად გადადის მომხმარებელზე.

თქვენ წარმოადგენთ და გარანტიას იძლევით, რომ: თქვენ გაქვთ იურიდიული უფლება გამოიყენოთ ნებისმიერი საბანკო ბარათი და რომ თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის ნამდვილი, სწორი და სრულყოფილი.

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას ნებისმიერ დროს უარი ვთქვათ ან გავაუქმოთ თქვენი შეკვეთა გარკვეული მიზეზების გამო, მათ შორის მაგრამ არა მარტო: პაკეტის ან მომსახურების ხელმისაწვდომობა, პაკეტის თუ მომსახურების აღწერილობაში ან ფასში შეცდომების არსებობის არსებობა, შეცდომები თქვენს შეკვეთაში ან სხვა მიზეზები.

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას უარი ვთქვათ ან გავაუქმოთ თქვენი შეკვეთა, თაღლითობის ან უნებართვო ან უკანონო ტრანზაქციაზე ეჭვის არსებობის შემთხვევაში.

4. ანგარიშსწორების წესი

ანგარიშსწორება ხორციელდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

შეკვეთის გაფორმებისას მომხმარებელი ვებგვერდიდან გადამისამართდება ანგარიშსწორების გვერდზე, სადაც უთითებს საკუთარი ბარათის მონაცემებს. ანგარიშსწორების მოთხოვნა მუშავდება და დასტურდება ბანკის მიერ.

შპს უნივერსალურ კონსულტინგს არ აქვს წვდომა როგორც ანგარიშსწორების გვერდზე, ასევე მომხმარებლის მიერ მითითებულ საბანკო ბარათის მონაცემებზე.

ანგარიშსწორების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ეკრანზე გამოდის შესაბამისი ინფორმაციის შემცველი შეტყობინება.

5. შეკვეთის გაუქმება / თანხის დაბრუნება / ანაზღაურება

შეძენილი პაკეტის საფასური თქვენს მიერ გადახდისას გამოყენებულ საკრედიტო/სადებეტო ბარათზე უკან არ ბრუნდება. შესაძლებელია მხოლოდ გადახდილ თანხას მინუს ტრანზაქციის საკომისიოს უკან დაბრუნება საბანკო გადარიცხვით ფორსმაჟორის* შემთხვევაში ან პაკეტის შეძენიდან 10 დღეში წერილობითი მომართვის საფუძველზე რაც გადაიხდება წერილის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

*მხარეები თავისუფლდებიან აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე დაწესებული პასუხისმგებლობისგან, თუ მისი შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მოვლენებით (საომარი მოქმედებები, გაფიცვები, საზოგადოებრივი არეულობა,

ეპიდემია, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები); ფორს-მაჟორული გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება დაინტერსებულ მხარეს.

6. შემადგენლობა / კონტენტი

ნებისმიერი ვიზუალური და ტექსტური მასალა, რომელიც განთავსებულია ჩვენს ვებ–გვერდზე, წარმოადგენს შპს უნივერსალური კონსულტინგის საკუთრებას ან აქვს გამოყენების ნებართვა. თქვენ არ გაქვთ უფლება გაავრცელოთ, შეცვალოთ, გადაუგზავნოთ, გადმოწეროთ, დააკოპიროთ ან გამოიყენოთ აღნიშნული კონტენტი სრულად ან ნაწილობრივ პირადი კომერციული მიზნებისთვის ან წინასწარ წერილობითი ნებართვის მიღების გარეშე.

7. აკრძალული გამოყენება

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ სერვისი მხოლოდ კანონიერი მიზნებით და პირობების შესაბამისად.

8. ანალიტიკა

ჩვენ შესაძლოა გამოვიყენოთ მესამე მხარის მომსახურება, ჩვენი სერვისის გამოყენების მონიტორინგისა და ანალიზისთვის.

9. მარეგულირებელი კანონი

წესები და პირობები რეგულირდება და ინტერპრეტაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაბამისი მარეგულირებელი კანონის ფარგებში, მასთან კონფლიქტში მყოფი დებულებების გათვალისწინების გარეშე.

ჩვენს მიერ ამ პირობების რაიმე უფლების ან დებულებების შეუსრულებლობა, არ განიხილება ამ უფლებების უგულებელყოფად. თუ ამ პირობების რომელიმე დებულება სასამართლოს მიერ ბათილად ან კანონიერი ძალის არმქონედ ჩაითვლება, ამ პირობების დარჩენილი დებულებები რჩება მოქმედად.

10. ცვლილებები სერვისში

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, შევიტანოთ ცვლილებები ჩვენს მომსახურებაში, ჩვენი შეხედულებისამებრ.

11. დასტური / თანხმობა

ჩვენი სერვისით ან ჩვენს მიერ მოწოდებული სხვა სერვისის გამოყენებით, ადასტურებთ, რომ წაიკითხეთ და გაეცანით ამ წესებს და პირობებს და ეთანხმებით მათ.

14. დაგვიკავშირდით

გთხოვთ, თქვენი გამოხმაურება, კომენტარები, ან ტექნიკური დახმარების მოთხოვნა გამოაგზავნოთ ელ. ფოსტაზე: contact@tucgroup.ge